



ხელმომწერი ორგანიზაციები ვგმობთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრების განცხადებებს ტარიელ ნაკაიძის წინააღმდეგ

სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციები ვვხმობით საქართველოს პარლამენტის დეპუტატ ტარიელ ნაკაიძეზე თავდასხმებს და მიგვანინია, რომ ეს შეტევა არა მხოლოდ ინდივიდუალური პოლიტიკოსის წინააღმდეგაა მიმართული, არამედ, მიზნად ისახავს ზოგადად, უფლებადაცვითი საქმიანობის დისკრედიტაციას და ზიანს აყენებს უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ბოლო დღეებია ვხედავთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ღიად ესხმიან თავს პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატს, ტარიელ ნაკაიძეს, რომელიც 2008-2020 წლებში [] მუსლიმთა კავშირის A თავმჯდომარე იყო და დღემდე აქტიურად მუშაობს რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვაზე.

22 მარტს, [] ძალის A ნევრმა და რუსული კანონის ერთ-ერთმა ინიციატორმა, სობარ სუბარმა პარლამენტის სხდომათა დარბაზში ტარიელ ნაკაიძეს ასე მიმართა: [\[\] ნელია მე შენ გიცნობ და ვიცი, რომ შენ ხარ აგენტი](#) A [] სუბარის თანამოაზრემ და რუსული კანონის კიდევ ერთმა ინიციატორმა ვიქტორ ჯაფარიძე კი თავს დაესხა დეპუტატს და ზურგში მიკროფონი ჩაართვა. ამას მოჰყვა [] ოცნების A თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ ტარიელ ნაკაიძეს ["მძიმე რეპუტაცია"](#) აქვს.

ტარიელ ნაკაიძე, რუსული კანონის მხარდამჭერი დეპუტატებისგან განსხვავებით, პარლამენტის ტრიბუნას ხშირად იყენებს ადამიანის უფლებების დასაცავად, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, ქალებისა და ლგბტქი ადამიანების გამონწვევებზე სასაუბროდ. უმცირესობების უფლებები არის იმ ევროპული ღირებულებების ნაწილი, რომელიც სიდრმისეულადაა დაცული ევროკავშირში და ჩვენი ტრადიციის ორგანული ნაწილია.

ხელისუფლების მიერ წარმოებული სიძულვილის ენა და საზოგადოების გახლეჩაზე ორიენტირებული პოლიტიკა, გარდა იმისა, რომ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ღირებულებებს და ადამიანის უფლებების დაცვის სულისკვეთებას, შეუქცევადად აღრმავებს პოლიტიკურ ველზე არსებულ პოლარიზებას და აზიანებს მრავალფეროვან და პლურალისტურ გარემოს.

ამ განცხადების ხელმომწერი სამოქალაქო და სათემო ორგანიზაციები სოლიდარობას ვუცხადებთ ტარიელ ნაკაიძეს და მოვუწოდებთ უმრავლესობის წევრებს, შეწყვიტონ ადამიანის უფლებების დამცველ ადამიანებზე ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმები.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

სოლიდარობის პლატფორმა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პანკისის სათემო ორგანიზაცია

პლატფორმა სალამი

მრავალფეროვანი და თანასწორი საქართველო

ქოლიდარობის მეზუემი

სოლიდარობის თემი

იორმულანლოს სათემო ცენტრი

ახალგაზრდები დემოკრატიული ცვლილებებისთვის

ქამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი

თბილისი პრაიდი

საფარი

საქართველოს სასამართლოს გუშაგი

საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, WISG

ქვიარ ასოციაცია - თემიდა

თანასწორობის მოძრაობა

უფლებები საქართველო

ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველო

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

მწვანე ალტერნატივა

მწვანეები

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, PHR

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რაჭის სათემო ორგანიზაცია

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)